ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY
XIII 2021

თეიმურაზ პირველის მსოფლმხედველობრივი საკითხები პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“[1]

The Philosophy Issues of Teimuraz the First in the Poem „Martyrdom of Queen Ketevan“

დალი ბეთხოშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ახალციხე

Dali Betkhoshvili
Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

ABSTRACT

IIn the Georgian literature of renaissance period the poem „Martyrdom of Queen Ketevan“ by the king-poet Teimuraz the first includes both the spirit of the epoch and hismessages, the spiritual mission of the Queen Ketevan and the emotions of the King-poet expressing national, religious inspirations, which were achieved even instead of their own lives. King poet describes its thoughts by means of his own artistic word which are empowered by the love in God, the wisdom of the Gospel, Biblical philosophy closely connected to the epoch pain.

In the poem by Teimuraz the first „The Martyrdom of Queen Ketevan“ describes the way of the Queen Ketevan which she followed from the secular life to spiritual deeds. Such a tantalizing path reflects the mission for protecting nation and belief, the queen had to fight against enemies to fulfil the mission. During the fight the aspiration for a better future was established, what is demonstrated in the philosophy of the king poet and proved by its works; It was expressed in transformation of his characters in both aspects like material and spiritual. He demonstrated it through changes in the inner world of the person, the steps of the spiritual development, showing transformation from horizontal to vertical prospective.

Teimuraz the first used the artistic image of his mother, Queen Ketevan incorporating national merits together with the religious philosophy and demonstrates the historical path from the physical personality to the sainthood;

[1] ნაშრომი იბეჭდება შემოკლებით

The path of the queen from the Christian world to the Shiraz captivity reflects queen's aspiration towards her mission, and difference between her fallen and destroyed life. Being in such a position, she undertakes the task to fight for Christian Georgian nation, her motherland and son and sacrifices herself like a God.

In the surroundings of unknowns and different belief the Queen Ketevan fulfils her spiritual task still being attached to the earthy life, as the latest gives her possibility to change the surrounded reality through her nature, establish the new, where the „Dark" will be overcome by the „light". Queen Ketevan fulfilled the great mission, she was able to introduce Christianity among the believers of other religion, on the way which used to bring a person closer to God she was able to find supreme truth, obtain divine love and from her individual reality she could turn into national wide martyr and example.

საკვანძო სიტყვები: თეიმურაზ პირველი, ქართული პოეზია, პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა".

Keywords: Teimuraz the first, Georgian poetry, Poem „The Martyrdom of Queen Ketevan".

აღორძინების ეპოქის ქართულ მწერლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა", რომელიც ასახავს ერთდროულად ეპოქის სულისკვეთებას, მის სათქმელს, ქეთევან დედოფლის სულიერ მისიას და მეტად მეფე-პოეტის მძიმე განცდებს, რომელიც აღბეჭდავს ერის ეროვნულ, სარწმუნოებრივ მიზანდასახულობას და ბრძოლას მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის, თუნდაც სიცოცხლის სანაცვლოდ. პოემაში ასახული სათქმელი ღრმა შრეებშია ჩაკარგული და, რაც უფრო მეტს იკვლევ სამზეოზე გამოსატანად, კიდევ მეტი რჩება გასააზრებელი. მეფე-პოეტი საკუთარი ინდივიდუალური მხატვრული სიტყვით, რასაც ძალას სძენს ღმერთის სიყვარული, სახარებისეული სიბრძნე, ბიბლიური მსოფლმხედველობა, გადმოსცემს თავის ჩანაფიქრს, რომელიც გადაჯაჭვულია ეპოქისგან ნაკარნახევ ტკივილთან.

მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა" ერთდროულად გადმოცემულია რელიგიური, ეროვნული... საფიქრალი, რომელიც იწყება ერის, ქვეყნის შერყეული წიაღიდან, ჯერ პიროვნულ ტკივილში რომ იდგამს ფესვებს, შემდეგ ზოგად ეროვნულ საფიქრალად გადაიქცევა. ამის გადმოცემას მეფე-პოეტი სრულად ახერხებს თავის ნაწარმოებში, სადაც შერწყმულია სულიერი და მატერიალური, რომლის გადაჭრა, ძირითადად, თავის გაწირვით, სულიერი მისიის აღსრულებით ხდება. ამ ნაბიჯის გადადგმაში, ქეთევან დედოფალთან ერთად, თეიმურაზ პირველს მიუძღვის უდიდესი წვლილი, რაც გამოჩნდა

აღნიშნული ნაწარმოებითაც, სადაც მეფე-პოეტი პირდაპირი სიტყვიერი ქსოვილით თუ დაფარულით – სახისმეტყველებითი აზროვნებით, ბიბლიური ხატ-სახეებით, სახარებისეული მცნებებით... საუბრობს.

თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ მხატვრული სიტყვით გაცხადებულია ის გზა, რომელიც გაიარა ქეთევან დედოფალმა საერო ცხოვრებიდან სასულიერო ღვაწლის ჩათვლით. ამ მტანჯველ გზაზე არეკლილია ერის, რწმენის დაცვისათვის გაწეული მისია, რომლის განხორციელებისათვის დედოფალს მოუწია თავდაუზოგავი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში გამოჩნდა მისი სწრაფვა უკეთესი მომავლის დაფუძნებისათვის, რასაც აჩვენებს მეფე-პოეტის მსოფლმხედველობრივი თვალსაწიერი, დადასტურებული აღნიშნული უკვდავი ნაწარმოებით; მეფე-პოეტის მსოფლმხედველობრივი მასშტაბი გამოიკვეთა პერსონაჟის მხატვრული სახის ფერისცვალების, მისი გარდასახვის დახატვის მხრივაც, როგორც მატერიალური ცხოვრების შინაარსის, ისე სულიერი ასპექტებითაც, რაც უკეთ წარმოაჩენს ადამიანის შინაგანი სამყაროს მოძრაობას, სულიერი აღმავლობის საფეხურებს, რომელიც აჩვენებს გარდასახვის გზას ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურისაკენ მიმდინარე ჭრილში.

ასეთი სულიერი ზეაღსვლის საფეხური თეიმურაზ პირველმა აჩვენა დედის, ქეთევან დედოფლის ღვთაებრიობით მოსილ მხატვრულად გარდაქმნილ სახეში, რომელშიც გამთლიანებულია ეროვნული ღვაწლი რელიგიურ მსოფლმხედველობასთან და წარმოსახავს გზას ისტორიული პიროვნებიდან წმიდანობამდე; საერო ღვაწლიდან – დედოფლობიდან წმიდანობამდე გარდაქმნა, გარდასახვა რწმენის შეწევნით მიიღწევა: „არავის ძალუძს ხსნა რწმენის გარეშე. რწმენად კი სახელიდება მართებული წარმოდგენა ღმერთსა და ღვთიურ საგნებზე“ (საღვთისმეტყველო კრებული 1988). „რწმენით ცხოვრება ქრისტეს გზაზე დადგომაა, ქრისტეს გზა კი გოლგოთა, ჯვარცმა, სიკვდილი, აღდგომა და ამაღლებაა და თითოეული ეს საფეხური ქეთევან წამებულის მოწამეობრივ ცხოვრებაში ნათლად არის ასახული და წარმოჩენილი“ (ბეთხოშვილი 2010: 186).

სახარების დამოძღვრით: „და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს უკუნისამდე“ (იოან. 11, 26) (ახალი აღთქუმაჲ 2009).

ქეთევან დედოფალი ქრისტეს მოძღვრების თანაშეწევნით და რწმენის დაცვით გარდაქმნის საკუთარ სულიერ სამყაროს, ღვთის განგებით განსაზღვრული რელიგიური სათნოებების (ლოცვა, მარხვა, სინანული, სიმდაბლე...) აღსრულებით, რაც ღმერთთან სიახლოვის მომასწავებელია. პიროვნების შინაგანი სამყაროს გარდაქმნა-გარდასახვა სიცოცხლის, როგორც უპირველესი სიკეთის, შენარჩუნებას ემსახურება. ნეტარი ავგუსტინე შემდეგნაირად მსჯელობს ქმნილების ცვლილების შესახებ: „ქმნილება ცვალებადია იმის გამო, რომ არასრულყოფილია. არასრულყოფილია იმიტომ, რომ იმაზე დაბლა მდგომია, ვის მიერაც არის

შექმნილი. შექმნილი კი იმის მიერ არის, ვინც მასზე აღმატებულია. ვინ არის ასეთი? – ერთი ღმერთი, მარადის უცვალებელი სამება, რადგანაც ყოველივე მან თავისი უზენაესი სიბრძნის მიერ შეჰქმნა კიდეც და შექმნილს შენარჩუნებაც განუჩინა. რა მიზნით, რისთვის შეჰქმნა მან ეს ყოველივე? – იმისთვის, რომ ყოველივე ამას ეარსება; რამეთუ რა კნინიც არ უნდა იყოს ქმნილება, მისი არსებობა უზენაესი სიკეთეა...“ (ნეტარი ავგუსტინე 1991: 44).

ქეთევან დედოფლის ცხოვრების გზაზე ასახულია ამქვეყნიურიდან ზესთასოფლისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი; თითოეული საფეხური წარმოაჩენს სულიერად ამაღლებული დედოფლის უბრალოებით, სიწმინდით ავსებულ მხატვრულ სახეს; წმიდანობისაკენ მიდრეკილი დედა-დედოფლის მხატვრული სახის წარმოჩენისას თავისი შეხედულებებით თეიმურაზ პირველი წარმოჩნდება დედის სახით შთაგონებულ ამაღლებულ მოაზროვნედ, რომელიც, ჩემი აზრით, მეორე მთავარი პერსონაჟია ნაწარმოებისა... (ეს საკითხი ცალკე იქნება განხილული). მთელი პოემის მანძილზე დედოფლის ფერისცვალების ამსახველი პიროვნების დახატვისას, რა თქმა უნდა, ავტორის – თეიმურაზ პირველის ადამიანური განცდები, შინაგანი მოძრაობა, სულიერი გარდასახვები არის მოცემული, რადგან სხვაგვარად ვერც წარმოაჩენდა ქეთევანის გარდასახულ, ფერცვლილ ადამიანურ მიზანსწრაფვებს, რაც სწორედ ამ გარდაქმნის საფეხურებზე აღიბეჭდა.

ნაწარმოებში „წმიდა ჰაბოს წამება“ ჰაგიოგრაფი ავტორის – იოანე საბანისძის მსოფლმხედველობის „...შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (ძეგლები, I: 1963) გამოძახილია მე-17 საუკუნეშიც, კერძოდ, თეიმურაზ პირველის პოემაშიც, როდესაც მტრის მომძლავრების ეპოქაში, რელიგიური რწმენის შესუსტებისა და ეროვნული ღირებულებების დაცვის სიმწირის პირობებში, ერს, ქვეყანას, მეფე-პოეტს ძლიერი საყრდენი, წინამძღოლი ესაჭიროებოდა მტერთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ საყრდენ პიროვნებად კი თეიმურაზ პირველმა დედა-დედოფალი მიიჩნია, ჯერ კიდევ თავისივე სამშობლოში, საკუთარ მიწაზე, საიდანაც იწყება ამ მისიის აღსრულება და გრძელდება უცხო მიწაზე, განსხვავებულ, „შეზღუდულ“ დრო-სივრცულ გარემოში, სადაც ყალიბდება სულიერად გარდასახული პიროვნების მხატვრული სახე. „დედოფალი განსხვავებულ, „შეზღუდულ“ დრო-სივრცულ გარემოში ცდილობს „დამხობილი“ ხატის აღდგენას თავისი სათნო ცხოვრებით, რომელიც ზეციურს უტოლდება... დედოფალი უცხო მიწაზე, სპარსეთის ტყვეობაში მყოფი, „ამაოებას“ შთანთქავს და პატიმრობაში არსებობით სულიერ გარდაქმნებს აღწევს.

საპყრობილეში, სულიერი მარტოობის პირისპირ მდგომ ქეთევან დედოფალში, შინაგანი სამყაროს გარდაქმნის გზით, „დიდი ღვაწლის“ დათმენისა და განხორციელების გზით, კვლავ იმძლავრებს „ახალი“,

ზეციურ კაცს მიახლოებული სულიერი ხატი, რომელშიც აღიბეჭდება დიდი ცვლილება, განახლების, ადამიანის ხელახალი შობის საფუძველი. სახარების დამოძღვრით: „ყოველთავე უკუე არა შევისვენოთ, ხოლო ყოველნივე განვახლდეთ“ (I კორინთ. 15, 51) (ახალი აღთქუმაჲ 2009).

სულიერი გარდაქმნა ვერ მიიღწევა განსაცდელის გარეშე, რასაც მოწმობს ქეთევან დედოფლის მთელი მოწამებრივი ცხოვრების გზა. წმიდა ისააკ ასურის დამოძღვრით, „განსაცდელი ღმერთთან მიახლოების მიზეზია, რადგან განსაცდელში განისწავლება და გამოიცდება ადამიანი“ (წმ. ისააკ ასური 1991: 243), რისთვისაც იმოწმებს საღმრთო წერილის სიტყვებს: „და ესე ნათესავნი დაუტევნა უფალმან, რათა გამოცადნეს მათგან ძენი ისრაჱლისანი, ყოველნივე იგი, რომელთა არა იცნოდეს ბრძოლანი ქანანელთანი, ნათესავისა მისთვის, ძეთა ისრაჱლისათა, რათა ასწაონ მათ ბრძოლაჲ“ (მსაჯ. 3, 1-2).

ქეთევან დედოფალი თავისი განსაცდელით, შეურყეველი ბუნებით, სიმდაბლით – ღმერთისადმი მსახურებით, რაც სრულყოფილების საწყისია, სარწმუნოების განახლებით აღასრულებს „დიდ ღვაწლს“ და ადამიანის დაცემული ბუნების აღდგენით, ღმერთთან კავშირის განმაახლებლად ყალიბდება მისი შთამბეჭდავი სახე. ამ გარდაქმნაში მას საპყრობილეში, ტყვეობაში ყოფნისას, სულიერი მარტოობის ჟამს, ღვთის პირისპირ მდგომს შეეწევა სულის მკურნალი სათნოებების – სინანულის, ლოცვის[2], აღსრულება. „ლოცვა არის სიხარული, რომელიც მადლობას შესწირავს ღმერთს; ლოცვა არის შესავედრებელი და შემწე, წყარო ცხოვრებისა, საუნჯე სასოებისა, ნავსაყუდელი, მხსნელი ღელვათაგან, ნათელი დაბნელებულთა, სიმტკიცე უძლურთა, საფარველი განსაცდელის ჟამს, მკურნალი მძიმე სენთა, ფარი, ბოროტის წინააღმდგომი, და წამახული ისარი, მტრისკენ მიმართული...“ (წმ. ისააკ ასური 1991: 242).

„ლოცვა ადამიანის შინაგანი სულიერი მდგომარეობაა, მოძრაობაა, რომელიც მას ამქვეყნიურობიდან ზეციურისკენ, წუთისოფლიური არსებობიდან მარადისობისკენ წარმართავს და უბრუნებს პირვანდელ სახეს, შინაგან ხატს, რომელიც მხოლოდ საღმრთო სრულყოფილებითაა აღვსილი“ (ბეთხოშვილი 2010: 191); იგი ტყვეობაში ყოფნისას ტანჯულია, განსხვავებული გზის მაძიებელია, შემდეგ კი ცოდვათა მონანიებით და განწმენდით, ვედრებითა და ღაღადისით, ლოცვით გამოხატული, იმარჯვებს და სულიერ სრულყოფილებას აღწევს“ (ბეთხოშვილი 2010: 192).

ტყვეობის სივრცე დედოფალს აშორებს წუთისოფელს, მაგრამ სანაცვლოდ აახლოვებს ჯვარცმული ქრისტეს მდგომარეობას (იოან. 27, 46; მარკ. 15, 34) (ახალი აღთქუმაჲ 2009). საპყრობილის პირობებში, რაც მეტად ვიწროვდება მატერიალური არსებობის სივრცე და ყოფნის შესაძლებლობა, მით მეტად უსაზღვრო ხდება რწმენა, ღვთის შიში, ღვთაებრივი

[2] სინანულის, ლოცვის... მხატვრული ფუნქციის შესახებ იხ.: დ. ბეთხოშვილი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), თბ., ტ. I - 2010, ტ. II - 2012.

სიყვარული, სიბრძნე: „ღვთის შიში სიბრძნის წყაროდ იწოდება“ (იგავ. 1, 7). ბასილი დიდის დამოძღვრით, ღვთის შიშის გარეშე შეუძლებელია გახდე მცოდნე ან კეთილგონიერი, ან კეთილი... „შიში ღმრთისაჲ არს მოლოდებაჲ განსაცდელთაჲ, ვითარცა გუეშინინ მჴეცთაგან და ჴელმწიფეთა, რაჲთა არა შეგუემთხჳოს მათ მიერ განსაცდელი“ (მამათა სწავლანი 1955: 315).

ღვთის შიში თანდათან ჩნდება ადამიანში, საფეხურებრივად წარმართავს შინაგან სულიერ სამყაროს და განსაზღვრავს ადამის მოდგმის, ცოდვისმატარებელი ადამიანის საბოლოო ხვედრს – დასასრულიდან დაუსრულებლობისაკენ: „შიში ღვთისა არს დასაბამი და დასასრული“ (ზირაქ. 1, 15). „ღვთის შიში, ერთ-ერთი სათნოება, არის განმსაზღვრელი ცვალებისაკენ მიმართული სხეულის სულიერად გარდაქმნისაკენ, სულიერების ზეიმისათვის, რომელიც ფერშეცვლილ სხეულში მოდრეკს ხორციელს – წარმავალ ბოროტებას და შეიმოსება სასუფევლის სამკვიდრებლით. ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „შიში ღვთისა არის ის, რითაც იმოსება გლახაკი სულითა, ნეტარი, რომლისა არს სასუფეველი ცათაჲ“ (ნეტარი ავგუსტინე 1991: 77). იოანე ოქროპირი კი ბრძანებს: „უდიდესი სიმდიდრე, უხრწნელი მემკვიდრეობა, მარადიული საგანძური არს შიში ღვთისა... სადაც შიშია ღვთისა, იქ გლახაკი და არაფრისმქონეც კი ცხონდება“ (წმ. იოანე ოქროპირი 1990: 132).

„შირაზის საპყრობილე“ დედოფლისათვის ქვესკნელია, „ბნელი“ სივრცეა, რომელიც იფარება ქეთევანის სულიერი ცხოვრებით – სათნოებათა აღსრულებით, წმიდა ღვაწლით: „აჰა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა“ (21, 2) (თეიმურაზ პირველი 1934: 128).

საპყრობილის ბნელ სივრცეში დედოფალი სიღრმისეულად აცნობიერებს ქვეყნის, ერის ხვედრს, რის შედეგადაც უფრო აღიჭურვება ღმერთის შემეცნებით, რომელიც გარდასახავს ქეთევანის, მომავალი წმიდანის პორტრეტს, ღვთისმსახურებითი ცხოვრების შედეგად ჩამოძერწილს. ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „წმ. კოსტანტი კახის ცხოვრება და წამება“ ვკითხულობთ: „ცხონდებოდა იგი ბრწყინვალედ მრავლითა ღმრთის მსახურებითა“ (ძეგლები 1963). ქეთევან დედოფალი სულიერი სიმშვიდის მოპოვებით, რომელიც მისი ღვაწლით მიიღწევა, ტყვეობის სივრცეს ზემატერიალურად გარდაქმნის და ბნელში ნათელს ამკვიდრებს.

„შირაზის ტყვეობა“ ესაა წუთისოფლის სიმბოლო, წუთისოფელი, სადაც მხოლოდ ცოდვა და ბოროტებაა განთავსებული, ამიტომ „სულიერი სამოსლის განფენა“ მის „გარე“ („გარე მოიზღუდა“) უფსკრულის გადალახვაა, ცხოვრების ერთი არსიდან მეორეში გადასვლა და მასთან ზიარება-შერწყმაა:

„ილოცვიდა, იმარხვიდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა, და ღვაწლი გარე მოიზღუდა, ეშმაკისა არ ჰყო ზრახვა“ (22, 3-4) (თეიმურაზ I 1934:128) (ბეთხოშვილი 2010: 199).

ქეთევან დედოფალი ტყვეობის პირობებში, რომელიც სიკვდილის სივრცედ გაიაზრება და მძიმე განსაცდელის მაუწყებელია, მის წინაშე

მყოფია, მაგრამ განსაცდელის დაძლევით, რასაც სახარება გვასწავლის: „შჭირდეს თუ ვისმე თქვენგანსა, ილოცევდინ“ (იაკ. 5, 13) (ახალი აღთქუმაჲ, 2009), დაიბრუნებს პირველ სამოსელს, რომელიც ღმერთშემოსილებას მოასწავებს. ეს კი ცოდვაზე, მატერიალურ მოთხოვნებზე გამარჯვებაა, ხორცზე ზრუნვის მოკლებაა, მასზე ამაღლება და სულიერი აღზევებაა. იგი ტყვეობაში ყოფნისას გარდაიქმნება და ყალიბდება სხვა სახედ, კერძოდ, „მუშაკი სათნოებისა“, როგორც მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი „წამებაში“ წერს:

„რაჟამს შეიქნა უმანკო მუშაკი სათნოებისა“ (23, 1) (თეიმურაზ პირველი 1934:128).

„სათნოების მუშაკზე“ სხვა ნაშრომში ვსაუბრობ[3], აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ „სათნო მუშაკობა“ დედოფლის გარდაქმნილ ადამიანურ არსზე, უცოდველობაზე, სულიერ სამკაულზე, სულიერ ღვაწლზე მეტყველებს.

სპარსეთის მიწაზე შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფალი ახერხებს ქრისტიანული ცხოვრებით არსებობას (სხვადასხვა წყაროს გადმოცემით / არაქელ დავრიჟეცი, ამბროზიო დუშ ანჟუში/ მას სამლოცველოც ჰქონია), რითაც შემოსაზღვრავს სივრცეს, საღვთო სამოსელით დაფარულს, რითაც აწესრიგებს დარღვეულ ჰარმონიას და ბიბლიური მსოფლმხედველობით განაგრძობს არსებობას; ქრისტიანული რწმენის დაცვისათვის თავდადებით ცხოვრება თვალნათლად ჩანს ჯერ კიდევ თავისივე სამშობლოს მიწაზე, საიდანაც შირაზის ტყვეობამდე განვლილმა გზამ ეს ღვაწლი კიდევ უფრო გააღრმავა, გააფართოვა და განსხვავებული, გარდაქმნილ-გარდასახული იერსახე შეიძინა, რამაც განჭვრიტა ის საზღვარი, რომელიც ძევს ბოროტებასა და სიკეთეს, წუთისოფელსა და მარადიულ სივრცეს შორის: „ქუეყანაჲ ახალი“ (გამოცხ. 21, 1), რამაც „ახალი“, განახლებული სიცოცხლე უნდა დაამკვიდროს. სწორედ საპყრობილე, უცხო სჯულის გარემოცვა აღმოჩნდება გზა წუთისოფელზე ასამაღლებლად, სულიერი გარდასახვისა და უზენაესის წვდომისათვის. „შირაზის ტყვეობაში დედოფლისათვის განმარტოებით ყოფნა ცოდვის შემეცნების, სინანულის, სულიერი განწმენდის პერიოდია“ (ბეთხოშვილი 2010: 203).

ქრისტიანული სამყაროდან შირაზის ტყვეობამდე დედოფლის მიერ განვლილი ტანჯული გზა ასახავს დედოფლის ცხოვრებისეულ მიზანსწრაფვას დასახულ მისიასა და დაცემულ, განადგურებულ ცხოვრებას შორის. ამ გზაგასაყარზე მდგომი დედოფალი გადაწყვეტს იბრძოლოს ქრისტიანი ქართველი ერის, სამშობლოს, შვილის გადასარჩენად და უფლის მსგავსად ეწირება კიდეც:

„მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია“ (48, 1) (თეიმურაზ პირველი 1934: 132).

[3] „სათნოების მუშაკი“ - ქეთევან დედოფალი (ინგლისურ ენაზე): „THE VIRTUOUS SERVANT OF GOD - QUEEN KETEVAN“, ჟურნალი “DERGI KARADENIZ“, 2019, 11, #42, Turkey, გვ. 68-81. DOI: 10.17498 /kdeniz.540634, ISSN: 1308-6200. ORCID: 0000-0001-6947-160X DergiKaradeniz.com URL: http://isindexing.com/isi/journaldetails.php?id=7901

ქეთევან დედოფლის პიროვნება გარდაიქმნება იმ გზაზე, რომელიც მიემართება ღვთისმშობლის წიაღიდან შირაზამდე, სადაც აღასრულებს ქრისტიანული რწმენის დაცვას, თავისი შეუდრეკელობით სძლევს ბოროტებას და სიკვდილზე მაღლდება; ფსალმუნის მიხედვით: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა? – რომელი ვიდოდის უბიწოდ და იქმოდის სიმართლესა და იტყოდის ჭეშმარიტსა გულსა შინა თჳსსა. რომელმან არა ზაკუა ენითა თჳსითა და არცა უყო მოყუასსა თჳსსა ბოროტი და ყუედრებით მახლობელთა მისთა ზედა არა მოიღო“ (ფს. 14, 1-3; 23, 3-4).

„ქრისტიანობამ, – წერდა გერმანელი მწერალი ჟან პოლი, – როგორც განკითხვის დღეს, გაანადგურა მთელი გრძნობადი სამყარო, ყველა მისი მშვენიერებით, ერთ საფლავის ბექობად შეაქუჩა იგი, ზეცისკენ მიმავალი კიბის საფეხურად აქცია და მის ადგილზე სულიერი სამყარო წამომართა“ (ასათიანი 1975: 39).

საპყრობილეში დედოფალი სიმდაბლით, სინანულით, ცრემლთაღვრით, ლოცვით, საღმრთო სიყვარულით ცხოვრობს. აღნიშნულის აღსრულებით მან თავისივე არსებაში განახორციელა დიდი ფერისცვალება, დაუბრუნდა პირველ უცოდველ ხატს მიმსგავსებულ სახეს; საპყრობილის დრო-სივრცულმა გარემომ განითავსა წუთისოფელი, მისი წარმავალი ბუნება, რომელიც შეიცვალა, გარდაიქმნა დაუსრულებელ დრო-ჟამად, რომელიც შეუზღუდავია, მარადიულის მომცველი. ქეთევან დედოფალმა მიაღწია შინაგან განწმენდას, მიწიერ გარემოშივე შეძლო სასუფევლის მოხილვა და დამკვიდრება.

„ადამიანი-წმიდანი ღვთის ხატია, „ტაძარია“, რომელშიც უფალია დავანებული. ტაძარი... არის მყოფობის შემოუსაზღვრავი სავსება, ადგილი, რომელიც უსასრულოს იტევს ისევე, როგორც ქრისტეს კაცობრივი, სივრცეში შემოუსაზღვრავი სხეული იტევს მის უსასრულო და ტრანსცენდენტურ ღვთაებრიობას. აქ ლიტურგიკული სიმბოლოების მეშვეობით დროში გაცხადდება თვით მარადისობა, რადგან მარადისობა, უპირველეს ყოვლისა, სულიწმიდის გაცხადებაა ადამიანის სულისათვის“ (არქიმანდრიტი რაფაელი 1994: 123).

მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც პერსონაჟის ცხოვრების თანდათან მსვლელობას აჩვენებს, იმ გზით გამოხატულს, რომელზეც აღიბეჭდება ამ შემთხვევაში დედოფლის, საერო მოღვაწის სულიერი ევოლუცია, ასახული იმ გზაზე, რომელიც მან გაიარა, გზა კი ერთ-ერთი სიმბოლოა, მრავალსაუკუნოვანი სემანტიკით დატვირთული. ძალიან ხშირად სწორედ გზას ევალება მხატვრული სივრცის ორგანიზება... „გზა ის მხატვრული სახეა, რომლის გავლა სტატუსის შეცვლას, ახალი სტატუსის მიღებას აღნიშნავდა“ (ღაღანიძე 2002: 117-118).

ქეთევან დედოფალი ტყვეობაში ჯოჯოხეთის სივრცეს არღვევს, ერთ სოფელს მეორედ გარდაქმნის, რომელშიც არეკლილია უკვდავება, აღდგომა,

ახალი სიცოცხლე, დაუსრულებელი სიბრძნე. გრიგოლ დოდორქელი წერს: „განშიშვლდეს სოფლისაგან და აღიღოს ჯუარი და იქმნეს მონაზონ“ (გრ. დოდორქელი 1989: 24).

უცხო, მტრის გარემოცვაში, სხვა რწმენის პირობებში მყოფი ქეთევან დედოფალი სულიერ ღვაწლს აღასრულებს წუთისოფლისაგან მოუწყვეტლად, რადგან სწორედ წუთისოფელი აძლევს ადამიანს დიდ შესაძლებლობას საკუთარი ბუნების გარდაქმნით გარემომცველი სინამდვილეც შეცვალოს, ახალი ყოფიერება დაამკვიდროს, სადაც ამაოებით სავსე „ბნელი“ ნათლით დაიძლევა და ახალ, ჭეშმარიტ სამყაროს განფენს. ჭეშმარიტი, თავისუფალი გზის მოპოვებას სახარება შეგვახსენებს: „და სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლნეს თქვენ“ /იოანე 8, 32/ (ახალი აღთქუმაჲ 2009). ქეთევან დედოფალი ამკვიდრებს „ახალ სოფელს“, რომელიც მარადისობის სამკვიდრებელია. წმიდა წერილის დამოძღვრით: „ცისა და ქვეყნის შემოქმედი ადამიანს შთაბერავს რაღაც სხვას, არამიწიერს, რასაც ბიბლიაში „სული ცხოვრებისა“ ეწოდება (დაბ. 2, 7). ქეთევან დედოფალმა უდიდესი მისია შეასრულა – უცხო რჯულის გარემოცვაში ქრისტიანული არსის განფენა მოახერხა, დადგა განღმრთობის გზაზე, რომელიც ღმერთს აახლოვებს, შეიმეცნა უმაღლესი ჭეშმარიტება, რითაც მიემადლა ღვთაების სიყვარული და თავისი პიროვნული ქრისტიანული სამყაროს დამკვიდრებით ისტორიულ-ეროვნული სახიდან მოწამეობრივ, ნეტარ ხატ-სახედ გარდაისახა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახალი აღთქუმაჲ 2009: ახალი აღთქუმაჲ, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა. თბილისი, 2009.

არქიმანდრიტი რაფაელი 1994: არქიმანდრიტი რაფაელი, საუბრები მართლმადიდებლობაზე, I. თბილისი, 1994.

ასათიანი 1975: ასათიანი გ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, შემოქმედება. თბილისი, 1975.

ბეთხოშვილი 2010: ბეთხოშვილი დ., სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), ტ. I. თბილისი, 2010.

დოდორქელი 1989: გრიგოლ დოდორქელი, „წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა...“, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V. დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. თბილისი, 1989.

თეიმურაზ პირველი 1934: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. თბილისი,

1934.
მამათა სწავლანი 1955: მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1955.
ნეტარი ავგუსტინე 1991: ნეტარი ავგუსტინე, ჭეშმარიტი სარწმუ-ნოებისათვის, წიგნში: სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II. თბილისი, 1991.
ღაღანიძე 2002: ღაღანიძე მ., სინამდვილე და წარმოსახვა დავით გურამიშვილის „მხიარულ ზაფხულში". თბილისი, 2002.
წმ. იოანე ოქროპირი 1990: წმ. იოანე ოქროპირი, „სწავლანი", საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბილისი, 1990.
წმ. ისააკ ასური 1991: წმ. ისააკ ასური, წიგნში: „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა", II. თბილისი, 1991.